

რელიგია და სახელმწიფო: ათლასი და სახელმწიფოს წარმატებული თანამშრომლობის მოდელი საქართველოს მაგალითზე

პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე

თბილისის სასულიერო აკადემიისა
 და სემინარიის რექტორი, თეოლოგიის,
 ფილოლოგიისა და პოლიტიკის
 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეზიუმე. აღნიშნული სტატია ეხება საქართველოში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას როგორც წარსულში, ისევე ჩვენს დღევანდელ ეპოქაში, როდესაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებულია კონსტიტუციური შეთანხმება. სტატიაში საზგასმულია ეკლესიის უდიდესი როლი ქართველი ერის ცხოვრებაში, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომ ქართლის გაქრისტიანების დღიდან ეკლესია ყოველთვის უბიწოდ იცავდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, ხოლო, მეორე მხრივ, განსაკუთრებულ თანადგომას იჩენდა ჩვენი სახელმწიფოებრიობის მიმართ. ეკლესია ყოველთვის იყო უმთავრესი ძალა სულიერების განმტკიცებასა და იმ არსებითი ღირებულებების დაცვისა, რაც ქრისტიანულ ცნობიერებას ეფუძნება. წმინდა ეკლესიის განმადმრთობელი და მაცხოვრებელი მსახურება ქართველი ერის სულიერი აღორძინებისა და გამთლიანების კუთხით ჩვენს ეპოქაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

საკვანძო სიტყვები: ეკლესია, კონსტიტუციური შეთანხმება, ავტოკეფალია

თაზო I

თანამედროვე ეპოქაში რელიგია და სახელმწიფო ორი განსხვავებული სუბიექტია. მართალია, ისინი ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, მაგრამ მკაცრად განსაზღვრული წესებითა და კანონებით არეგულირებენ ურთიერთობას, თუმცა, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდეს ამ ორი ინსტიტუტის უფლებამოსილებათა სფეროში ერთმანეთზე გავლენას.

თანამედროვე მულტიკულტურული საზოგადოება სეკულარიზმისაკენ არის მიდრეკილი, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკური გამოწვევები, ხშირ შემთხვევაში, იმ კონფლიქტების შედეგია, რომელთა დაპირისპირებას საფუძვლად რელიგიური ფანატიზმი უდევს, რასაც მოწმობს თუნდაც ის სირთულეები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში არსებობს.

21-ე საუკუნეში კონფლიქტების უმეტესობა ნაციონალიზმის არასწორი გაგები-



სა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის აღრევის შედეგს წარმოადგენს, რამაც ხელი შეუწყო როგორც სახელმწიფოებრივ, ისე აგრესიულ არასახელმწიფოებრივ და, ამავე დროს, რელიგიურ არასახელმწიფოებრივ აქტორებს საკუთარი სუბიექტური მიზნების მიღწევაში, რომლის ნიმუშადაც შეიძლება დავასახელოთ სირია და იქ არსებული კონფლიქტი.

სეკულარიზმი თანამედროვე ეპოქის თანმდევი მოვლენაა, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს თანამშრომლობის ტრადიცია და კეთილი ნება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, ეკლესიამ შეიძლება მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული წვლილი შეიტანოს ქვეყნის დაცვის, სულიერი გამთლიანების, განმტკიცებისა და განვითარების საქმეში. ამ კონტექსტში შეიძლება დავიმოწმოთ წმინდა გრიგოლ ხანტოელის (IX ს.) უაღრესად საგულისხმო სიტყვები ქართლის იმდროინდელ ხელისუფალთა მიმართ: „თქვენ მოგცა უფალმან დანერგვად, უკუდავთა ჳელმწიფეთა, წმიდათა ეკლესიათად მოკუდავითა მეფობითა და შეწვენადცა მათი უხილავად საჭურველ-ყო თქვენდა უფროდს ხილულთა საჭურველთა და უმრავლეს ბევრთა მხედართა“¹ („თქვენ, უკვდავ ხელმწიფეებს, განვიკუთვნათ უფალმა წმინდა ეკლესიების დანერგვა მოკვდავი მეფობის გზით და მან უხილავად თქვენს საჭურველად გახადა მათი შემწეობა, უმეტეს ხილული საჭურველისა და ბევრ მხედარზე უმრავალრიცხოვნესად“).

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას საქართველოში ყოველთვის ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან ეკლესია ყოველთვის უდიდეს როლს ასრულებდა ქვეყნის გამთლიანებისა და ქართველი ერის სულიერი აღორძინების საქმეში. საქართველოს მთელი ისტორია უტყუარად მოწმობს ამ ფაქტის შესახებ. მისი განსაკუთრებული დვაწლი და დამსახურება ქართველი ერის წინაშე სათანადოდ არის ასახული საქართველოს კონსტიტუციაშიც².

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის თანამშრომლობა ევროპის მრავალ ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება და მას სათანადო სამართლებრივი საფუძველიც აქვს. ამა თუ იმ სახელმწიფოში ეკლესიის სტატუსსა და მის უფლებრივ მდგომარეობას აუცილებელი წინაპირობები აქვს და საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის დამოკიდებულებისა და მისი ღირებულებათა სისტემის შესაბამისია. საფრანგეთში თუ სეკულარული სისტემა და ეკლესია გამიჯნულია სახელმწიფოსაგან, ეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის შედეგია. დიდ ბრიტანეთსა და სკანდინავიის ქვეყნებში კი რელიგიისა და სახელმწიფო ინსტიტუციების მჭიდრო თანამშრომლობა ამ ქვეყნების უწყვეტი საუკუნოვანი ტრადიციის გაგრ-

1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I. თბილისი, 1963, 276.
2. რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან ერთად, სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში (მუხლი 8, სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24.08.1995).



ძელებათ. ეს მოდელები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგიერთი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ექსპერტი და უფლებადამცველი მიიჩნევს, რომ რომელიმე აღმსარებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება და მისთვის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სტატუსის მიკუთვნება, რაც განაპირობებს გარკვეულ ერთობას სახელმწიფოსთან, მიუღებელია³. ელიზაბეტ შაკმანი განმარტავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიურმა მიმართულებამ განაპირობა გარკვეული სახის ურთიერთწინააღმდეგობა ე.წ. „ვესტფალიის სისტემის“ ფარგლებში მოდერნიზაციის, ერ-სახელმწიფოსა და სეკულარიზმის იდეოლოგიურ კონცეფციებს შორის⁴.

ამ რეალობის გათვალისწინებით, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის დღეს არსებული მოდელი საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ უნიკალურია, რამდენადაც მართლმადიდებელ ეკლესიას არ აქვს სახელმწიფო რელიგიის სტატუსი (რასაც შესაძლოა, არათანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაეყენებინა სხვა რელიგიები), თუმცა, ამავე დროს, კონსტიტუციური შეთანხმების⁵ გაფორმებით, მკაფიოდ არის განსაზღვრული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ადგილი და როლი საქართველოს სახელმწიფოსა და მისი კულტურის ჩამოყალიბება-განვითარებაში⁶.

3. თალალ ასადი, რელიგია, ერ-სახელმწიფო, სეკულარიზმი, ღირს თუ არა სეკულარიზმის კონცეფციის შენარჩუნება? თარგმნეს თორნიკე ჭუმბურიძემ და გიორგი ვაჩნაძემ. თბილისი, 2019.

4. Jeffrey Haynes, „An Introduction to International Relations and Religion“. London. 2013. 77.

5. კონსტიტუციური შეთანხმება, რომელსაც კონსტიტუციის შემდგომ უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების მიმართ (საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 7.4), არის საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული ხელშეკრულება, რომელიც დადებულია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წელს. სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციურ შეთანხმებას ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი; ხოლო ეკლესიის მხრიდან – კათალიკოს-პატრიარქი და წმ. სინოდი. კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სულ ცოტა სამი მესუთედი, ხოლო მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რაც მაღალ ლეგიტიმაციასა და დაცულობას ანიჭებს აღნიშნულ დოკუმენტს. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციურ შეთანხმებას დადებითი სამართლებრივი შეფასება მისცეს ევროსაბჭოს ექსპერტებმა (Legal Expertise of the Draft Constitutional Agreement between the State of Georgia and the Autonomous Apostolic Orthodox Church of Georgia, R. Lawson & R. Balodis, HRCAD (2001)3, 28 May 2001). ასევე, აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით (მუხლი 1.5), „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ხელშეუვალა“. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კონსტიტუციური შეთანხმების მუხლი 4.2 – „სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და, ამასთან დაკავშირებით, შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას“, რაც გულისხმობს, რომ სასულიერო პირები სახელმწიფო სტრუქტურის მოხელეები ხდებიან და მეტად საპასუხისმგებლო ფუნქციას ასრულებენ ზემოაღნიშნულ სახელმწიფო ინსტიტუტებში. ამის ანალოგი ხშირად გვხვდება ევროატლანტიკური ქვეყნების აბსოლუტურ უმეტესობაში. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სსმ №116, 27.11.2002. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626?publication=0> (ბოლო ნახვა – 17.05.2021).

6. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის საქართველოს მიერ არჩეული მოდელის მართებულობის შესახებ წერს ექსპერტი ჯ. ხეცურიანი: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციური შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებით გამოინახა ქართულ სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის ზედმიწევნით სწორი სამართლებრივი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ერთი მხრივ, ეკლესიის დამოუკიდებლობას, მისი სუვერენული უფლებების დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, ეკლესიის ყველა იმ უფლებით აღჭურვას, რომელიც აუცილებელია ერის გამაერთიანებლისა და მისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი სხვა ფუნქციების შესასრულებლად. ამასთან, გამორიცხულია სახელმწიფოს ჩარევა ეკლესიის საქმეებში და პირიქით. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა დაფუძნებულია მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და თანამშრომლობის პრინციპებზე“, ჯონი ხეცურიანი, სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები. თბილისი, 2013, 43-44.



აღნიშნული მოდელი ქმნის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის წარმატებული თანამშრომლობის ნაყოფიერ ნიადაგს. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თითოეული მათგანი დამოუკიდებელი სუბიექტია⁷. ამით არ ილახება სხვა რელიგიების უფლებები, ვინაიდან, საქართველოს კანონმდებლობით, მათაც იგივე სამართლებრივი სტატუსი აქვთ, რაც მართლმადიდებელ ეკლესიას, კონსტიტუციური შეთანხმება კი განსაზღვრავს ეკლესიის იმ უფლებებს, რომლებიც ევროპული ქვეყნების უმეტესობაში მინიჭებული აქვთ ადგილობრივ ეკლესიებს⁸.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობებში კონსტიტუციური შეთანხმების მსგავსი სტატუსისა და ნორმატიული შინაარსის დოკუმენტის ანალოგი მსოფლიოში არ მოიძებნება. მართალია, გარკვეული მსგავსება შეინიშნება ვატიკანსა და სხვადასხვა სახელმწიფოს შორის გაფორმებულ შეთანხმებებთან, მაგრამ მათ შორის განსხვავება არსებითია, ვინაიდან ვატიკანი საერთაშორისო სამართლის სუბიექტია და მისი ხელშეკრულებები (კონკორდატები) სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებებია.

კონსტიტუციური შეთანხმების მთავარ ღირსებად მიჩნეულია ის გარემოება, რომ საქართველოში, მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლისა და სტატუსის განსაზღვრასთან ერთად, იგი არ ზღუდავს სხვა რელიგიების უფლებებს და საფრთხეს არ უქმნის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას⁹.

7. ამ თანამშრომლობის შედეგია თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ჩამოყალიბებულია დამოუკიდებელი განათლების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ფუნქციონირებს და მის მიერ გაცემული დიპლომები აღიარებულია სახელმწიფოს მიერ (მუხლი 5.2, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სსმ №116, 27.11.2002. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626?publication=0> (ბოლო ნახვა-17.05.2021). ეკლესიას აქვს საკუთარი მასშედი (რადიო და ტელევიზია), სოციალური ინსტიტუტები და ორგანიზაციები. წარმატებით მიმდინარეობს სასულიერო პირების მოღვაწეობა სამხედრო და პენიტენციურ სისტემებში. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ, სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით, ეკლესია ხშირად გამოდის მედიატორად ქვეყნის შიგნით არსებულ მწვავე პოლიტიკურ დაპირისპირებებში, მხარეთა თხოვნის საფუძველზე.

8. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მხრიდან დიფერენცირებული დამოკიდებულება სხვადასხვა რელიგიის მიმართ სულაც არ არის თანასწორობის პრინციპის დარღვევისა და დისკრიმინაციის მანიფესტაცია, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი ასეთი დიფერენცირებისათვის... ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ ადამიანის უფლებათა ეროვნული კონვენციის მე-14 მუხლის განმარტება, რომლის მიხედვით, დისკრიმინაციას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო გონივრული დასაბუთების გარეშე, განსხვავებულად ეპყრობა თანაბარ, ერთნაირ მდგომარეობაში მყოფ პირებს. სახელმწიფოს მხრიდან ამა თუ იმ რელიგიის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების ობიექტური საფუძველი შეიძლება იყოს ქვეყანაში ამ რელიგიის გავრცელების მასშტაბი, როლი, რომელსაც ეს რელიგია ასრულებდა ქვეყნის ისტორიაში“, *ჭინი ხეცურიანი*, სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები. თბილისი, 2013, 39-40.

9. „საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში“ (საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24.08.1995, მუხლი 8). ამ დოკუმენტის უდიდეს ღირსებას ასევე წარმოადგენს ის, რომ საკანონმდებლო დონეზეა მოწესრიგებული როგორც ეკლესიისათვის, ისე სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი ზოგიერთი საკითხი. მაგ., „სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტური მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე“ (მუხლი 11). მსგავსი მიდგომა კარგად არის ცნობილი აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც მიღებულ იქნა რესტიტუციის კანონი კომუნისტურ პერიოდში ჩამორთმეული ქონების მესაკუთრისათვის უკან დაბრუნებას-



კონსტიტუციური შეთანხმების 1.3. მუხლი განსაზღვრავს ეკლესიის იურიდიულ სტატუსს: „ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულფუნქციონირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიერი) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“¹⁰.

აღნიშნული მუხლის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო აღიარებს ეკლესიას, როგორც „ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს“ არა ხელშეკრულების დადების მომენტიდან, არამედ ისტორიული რეალობიდან გამომდინარე¹¹, რაც, ასევე, ამ შეთანხმების პრეამბულაშიც არის ასახული: „საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს სამოციქულო საყდარს... იგი მე-5 საუკუნიდან ავტოკეფალურია და მისი სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრი და კათედრაა მცხეთა, საპატრიარქო კათედრებია, აგრეთვე, თბილისი და ბიჭვინთა“¹².

თავი II

საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის როლი განსაკუთრებულია ქართველი ერის ცხოვრებაში მთელი მისი ისტორიის განმავლობაში, არა მხოლოდ საკუთრივ იმ არსებითი ღვაწლის აღსრულების კუთხით, რაც გულისხმობს მაცხოვრებელი რწმენით ქართველი ერის განმსჭვალვას, მისთვის საღვ-

თან დაკავშირებით. კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 და მე-8 მუხლებით, „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფოს დაცვის ქვეშ (მუზეუმებში, საცავებში) არსებულ საეკლესიო საგანძურს“. მე-10 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკება შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევების, სხვა საეკლესიო ნაგებობის, აგრეთვე, საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე“. აღნიშნული მუხლით სახელმწიფო ვალდებულია მოლაპარაკებები აწარმოოს შესაბამის სახელმწიფოებთან, მათ ტერიტორიაზე არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების „...დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სსმ №116, 27.11.2002. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626?publication=0> (ბოლო ნახვა-12.05.2021).

10. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სსმ №116, 27.11.2002. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626?publication=0> (ბოლო ნახვა-12.05.2021).

11. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალურია. იგი, საქართველოში მოქმედი სხვა რელიგიური ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ეკლესიის ნაწილი კი არ არის, არამედ ორგანიზაციულად დასრულებული სახით სწორედ საქართველოშია წარმოდგენილი. სხვა კონფესიები კი საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული რელიგიური ორგანიზაციების მხოლოდ სტრუქტურული ერთეულები არიან და, შესაბამისად, ექვემდებარებიან თავიანთ ცენტრებს. მათ შეზღუდული აქვთ დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა. ამასთანავე, მართლმადიდებელ ეკლესიასთან შედარებით, სრულიად განსხვავებულია მათი როლი საქართველოს ისტორიაში. ამდენად, არ არსებობს მათთან კონსტიტუციური შეთანხმების დადების არც იურიდიული და არც ისტორიული საფუძველი“, *ჯონი ხეცურიანი*, სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები. თბილისი. 2013, 44-45.

12. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სსმ №116, 27.11.2002. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626?publication=0> (ბოლო ნახვა - 12.05.2021).



თო ნათლის მიფენას და იმ ზნეობრივი ფასეულობების დაცვას, რასაც ეფუძნება ერის სულიერი აღორძინება და ღმერთთან მისი ჭეშარიტი ერთობა, არამედ ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური სტაბილურობის დაცვის მხრივაც. ამის ნათელსაყოფად დავიმოწმებთ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს¹³:

XI საუკუნეში, ბიზანტიასა და საქართველოს შორის საომარი მოქმედებებისას, ქართველთა მარცხის მიზეზი ბასილი კეისრისა და, შემდგომ, მისი ძმის, კონსტანტინე პარაკიმანოსის, დროს იყო აზნაურთა ერთი ნაწილის დალატის შედეგი. როდესაც იმპერატორ კონსტანტინეს ლაშქრობისას ააოხრეს თრიალეთი და მიაღწენ კლდეკარის ციხეს, სადაც დაბანაკებულნი იყვნენ გიორგი I-ის აზნაურები, ქართველი დიდებულების ერთი ნაწილი ბიზანტიის იმპერატორს მიემხრო და მას გადასცეს თავიანთი ციხე-სიმაგრეები¹⁴. დამარცხებულმა საქართველოს მეფემ – გიორგი I-მა, იმის გამო, რომ რიცხოვრივი უპირატესობა ბიზანტიელების მხარეს იყო, განარიდა თავისი ჯარი ბრძოლის ველს.

ასეთ დროს ქვეყნის დაცვის საქმე საკუთარ თავზე აიღეს ქართველმა ეპისკოპოსებმა – საბა მტბევარმა და ეზრა ანჩელმა. მათ ააშენეს დიდი ციხე-სიმაგრე – „სვეტი“, რომელიც ბიზანტიის ლაშქარმა ვერ აიღო¹⁵. მემატინე განსაკუთრებით ხაზს უსვამს როგორც მტბევარი და ანჩელი ეპისკოპოსების ღვაწლს, რომლებიც ქვეყნის დაცვის საქმეს ხელმძღვანელობდნენ, სულიერად ამხნევებდნენ და სამშობლოს ერთგულების მაგალითს აძლევდნენ მეციხოვნეებს, ასევე იქ მყოფი მეომრების თავგანწირვას: „ვითარცა ერთგულნი და ჭეშმარიტნი მარტვილნი საღმრთონი, თავთა თვსთა განწირვიდეს და სისხლთა დასთხევდეს, სიტყვსაებრ მოციქულთადასა და განძლიერდებოდეს“¹⁶.

ეკლესიის მსახურთა თავგანწირვამ ბიზანტიელთა წინსვლა შეაჩერა, ხოლო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკ I-ის (1010-1029 წწ.) უდიდესმა ძალისხმევამ, ბიზანტიის იმპერატორთან დიპლომატიის წარმართვის კუთხით, შედეგი გამოიღო და ბიზანტიასა და საქართველოს შორის სამშვიდობო ზავი დაიდო (1025 წ.).

13. საქართველოს ეკლესიის როლის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ საგულისხმოდ მიგვანინია პროფესორ დოდონა კიზირიას (ინდიანას უნივერსიტეტი, აშშ) სიტყვები: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქართველი ერისათვის წარმოადგენს ბევრად უფრო მეტს, ვიდრე რწმენის სიმბოლოს. მათთვისაც კი, რომელნიც საკუთარ თავს მორწმუნეებად არ მოიაზრებენ, საქართველოს ეკლესია ყველა ასპექტში განუყოფლად არის თანაშემწეული საქართველოს ისტორიასთან და კულტურასთან. ქართული ტოპონიმები, ხელოვნება, ლიტერატურა და ენა განმსჭვალულია მართლმადიდებელი სარწმუნოებით, რაც შეადგენს საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის არსს. დაკნინება და უკუღებელოვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლისა ნიშნავს დააკნინო ქართული ეთნიკური იდენტობა, გაანადგურო ქართველთა ისტორიული მემკვიდრეობა“. საერთაშორისო ფორუმი, „გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი“. თბილისი, 2004. 80.

14. *სუმბატ დავითისძე*. იხ. ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი აკად. *როინ მეტრეველი*. თბილისი, 2008, 374.

15. იხ. ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი აკად. *როინ მეტრეველი*. თბილისი. 2008, 374.

16. იქვე, გვ. 374-375.



საერო და სასულიერო ხელისუფლების ჰარმონიული ურთიერთობის საუკეთესო მაგალითია 1105 წელს ჩატარებული რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ეკლესიის კანონიკური ნორმების დასაცავად, ასევე, ეკლესიაში ფეხმოკიდებული მანკიერებების აღმოსაფხვრელად, რაც საფუძველი უნდა გამხდარიყო ეკლესიის აღორძინებისა, ამას კი მნიშვნელოვანწილად უნდა განესაზღვრა ქვეყნის სულიერი წარმატება, მისი წინსვლა და განვითარება. ეკლესიის დიდი ავტორიტეტის მაჩვენებელი იყო ჭყონდიდელი მღვდელმთავრისათვის მწიგნობართუხუცესის თანამდებობის დამტკიცება.

აღსანიშნავია, რომ „რუის-ურბნისის ძეგლისწერა“ განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ საქართველოს წმინდა ეკლესია, დღიდან მისი დარსებისა, უბიწოდ იცავდა წმინდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას¹⁷.

საქართველოს ეკლესია მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ინსტიტუციად რჩებოდა XIV-XVIII საუკუნეებში, რომელიც საგარეო ურთიერთობებში ხშირად განსაკუთრებულ დიპლომატიურ მისიასაც ასრულებდა¹⁸.

XV საუკუნეში, როდესაც საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, საქართველოს ეკლესიამ შეძლო შეენარჩუნებინა ქართველი ერის მთლიანობა და ეკლესიის ერთიანობა, რომელიც შიდა თუ გარე ძალების მიერ დაყოფის საფრთხის წინაშე იდგა. მესხეთის მთავრები იბრძოდნენ თავიანთი კუთხის დამოუკიდებლობისათვის და წარმატებასაც მიაღწიეს მეფე გიორგი VIII-სთან ბრძოლაში. მათ განიზრახეს მესხეთში მცხეთის საკათალიკოსოსგან დამოუკიდებელი ეკლესიის შექმნა. სამცხის ათაბაგი ყვარყვარე ამ მიზნით ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებსაც დაუკავშირდა და მოინდომა მაწყვერელი ეპისკოპოსის კათალიკოსად აღსაყდრება. ამის საპასუხოდ კათალიკოს-პატრიარქი დავით III (1435-1439, 1443-1459) გაემგზავრა მესხეთში, შეკრიბა მცხეთის საკათალიკოსოსაგან გამოყოფის მომხრე სასულიერო პირები და, როგორც საისტორიო წყარო გვამცნობს, „უჯვრობითა“ და „უზიარებლობით“ დასაჯა ისინი, ხოლო, მათი მხრიდან გამოვლენილი სინანულის შემდგომ, ერთგულების ფიცი ჩამოართვა, რაც მცხეთის ერთ-ერთ სიგელშია ასახული¹⁹. დიდი ქართველი ისტორიკოსის, ივანე ჯავახიშვილის, აზრით, „ეს ფიცი იმავე დროს საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის მთლიანობის და ერთობის ფიცი იყო, ამიტომაც მათ მოქმედე-

17. იხ. დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს *ე. გაბიძაშვილმა, ე. ვიუნაშვილმა, მ. დოლაჯიძემ, გ. ნინუამ* თბილისი, 1976, 549.

18. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს მეფეს, გიორგი I-სა და ბიზანტიის იმპერატორს, ბასილი I-ს შორის შესაძლებელი გახდა ზავის დადება, რაშიც უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მელქისედეკ I-მა. წმ. პატრიარქის პიროვნულმა ღირსებებმა და ავტორიტეტმა კეთილად განაწყო განრისხებული ბიზანტიის იმპერატორი და ბიზანტიასთან, მართალია, მძიმე, მაგრამ მაინც სამშვიდობო ზავი დაიდო. კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკმა შეძლო მოეპოვებინა ფინანსური მხარდაჭერაც საქართველოს ეკლესია-მონასტრების ასაშენებლად.

19 იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III. თბილისი, 1970, 242.



ბას თანამედროვეთა გულწრფელი თანაგრძნობა და სიხარული უნდა გამოეწვიოს, შთამომავლობას და ისტორიას კი არ შეუძლია მათი ღვაწლი ერისა და ქვეყნის წინაშე მთელი თავისი სიღრმე-სივრცით არ დააფასოს²⁰.

1472 წელს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებისა და ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქ მიხეილის მიერ მცხეთის საკათალიკოსოდან ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა საკათალიკოსოს გამოყოფას წინ აღუდგა სრულიად საქართველოს საპატრიარქო, თუმცა ამ პროცესის შეჩერება ვერ შეძლო, რის შესახებაც გულისტკივილით წერდა ივანე ჯავახიშვილი²¹.

XVI-XVII საუკუნეებში, უკიდურესი დაქუცმაცებულობის ჟამს, ეკლესია დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებშიც ინარჩუნებდა ერთიანობის იდეას, რაც ასახულია თუნდაც იმ ფაქტში, რომ პოლიტიკურად დაშლილ ქართულ სამეფო-სამთავროებში საქართველოს ეკლესიის (დასავლეთ და აღმოსავლეთ ეკლესიის) მესვეურნი, როდესაც საქმე ეხებოდა ერთიან ეროვნულ სახელმწიფო საკითხებს (მაგალითად, ტყვეთა სყიდვის აკრძალვა), ერთობლივად იღებდნენ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ქვეყნის საკეთილდღეოდ, რითაც ინარჩუნებდნენ ქართველი ერის მთლიანობასა და ეკლესიის ერთიანობას²².

საქართველოს ეკლესია ყოველთვის ისწრაფვოდა სახელმწიფოსთან ერთად მტიკიცედ დამდგარიყო ქვეყნის ერთიანობისა და სტაბილურობის სადარაჯოზე. მეთექვსმეტე საუკუნის 60-იან წლებში ბიჭვინთაში ჩატარდა საეკლესიო კრება, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მცხეთის კათალიკოსიც. ამ კრებაზე შეიქმნა დოკუმენტი „სამართალი კათალიკოზთად“, რომელიც მკაცრად გამოხატავდა ტყვეთა სყიდვას დასავლეთ საქართველოში. 1758 წელსაც, ლიხთიმერეთის და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქების მონაწილეობით, ჩატარდა საეკლესიო კრება, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგმო ტყვეთა სყიდვა და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა იმერთა მეფეს, სოლომონ I-ს²³.

1790 წლის ივნისში დაიდო საქართველოს სამეფო-სამთავროების ტრაქტატი – ორმხრივი ხელშეკრულება, ერთი მხრივ, ქართლ-კახეთის სამეფოსა და, მეორე მხრივ, იმერეთის სამეფოს, ოდიშისა და გურიის სამთავროებს შორის. ამ ტრაქტატის მომზადებაში უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ და ერეკლე მეფის კანცლერმა, სოლომონ ლიონიძემ. ტრაქტატის პრეამბულაში აღნიშნული იყო, რომ ხელშეკრულების საფუძველია ქართველთა ეროვნული ერთობა²⁴. საქართველოს მეფე-მთავრებმა დადეს ზე-

20. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III. თბილისი, 1982, 285.

21. იქვე, გვ. 336-340.

22. „სამართალი კათალიკოზთად“, 1758 წლის გელათის კრება. იხ. მიხეილ რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462-1810). თბილისი, 1990, 51.

23. სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო რეფორმისათვის სოლომონ I-ის დროს. თბილისი, 1914, 4; მიხეილ რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462-1810). თბილისი, 1990, 189.

24. იხ. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბილისი, 1936, 18.

მო და ქვემო ივერიის (ე. ი. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს) ერთობისა და ურთიერთდახმარების პირობა. აღნიშნულ დოკუმენტს ხელს აწერენ: ერეკლე II, სოლომონ II, სიმონ III გურიელი, გრიგოლ დადიანი.

2009 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ღოცვა-კურთხევით განახლდა ივერიელთა ერთობის ტრაქტატი, რომელშიც ჩაიწერა: „ვინაიდან ივერიის ყოველნი მკვიდრნი, მცხოვრებნი აფხაზეთს, აჭარას, გურიას, თუშეთს, იმერეთს, კახეთს, ლაზეთს, მესხეთს, მთიულეთს, ოდიშს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს, ფშავ-ხევსურეთს, ქართლს, ხევსა და ჰერეთს, და ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მყოფნი თანამოქმენი ვართ შთამომავალნი ერთი წინაპრისა, მრავალფეროვნებით გამორჩეული ერთი ენისა და კულტურის მქონენი, ნათესაობითა და მოყვრობით შესისხლხორცებულნი და ასევე ამ ქვეყნის გულშემატკივარნი ყოველნი შვილნი მისნი და თანამდგომნი, საქვეყნოდ ვაცხადებთ: კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენს საუკუნო ერთობას და ყოველადღიერი ღმერთის სახელით აღვუთქვამთ საქართველოს ერთგულებას, ერთმანეთს კი მტკიცე თანადგომასა და სიყვარულს“²⁵.

უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ინიციატივა, რომ შექმნილიყო ახალი ტრაქტატი მსგავსად 1790 წლის ტრაქტატისა, იყო პასუხი მორიგი ანტიქართული პროპაგანდის მიმართ, რომელიც ქართველი ერის ერთიანობის წინააღმდეგ არის მიმართული და მიზნად ისახავს მის წამოჩენას სხვადასხვა ეთნო-რელიგიური (სვანური, მეგრული, ლაზური, აჭარული და სხვა) ჯგუფის ხელოვნურ გაერთიანებად.

ეს ახალი ტრაქტატი 200 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ შეახსენებს საზოგადოებას, რომ აუცილებელია ჩვენი ერთობა. სწორედ ამ ერთობის აუცილებლობამ გადააწყვეტინა ჩვენს წინაპრებს, ქართლ-კახეთის, იმერეთის სამეფოების, გურიის, ოდიშის, აფხაზეთის მთავრებს, გაეფორმებინათ ივერიელთა ერთობის ტრაქტატი და ერთობლივად გამკლავებოდნენ ქართველი ერის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

სავსებით აშკარაა, რომ საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეობაში ერთმნიშვნელოვნად ვლინდება სახელმწიფოსთან ჰარმონიული ურთიერთობა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ისტორიის მანძილზე იყო გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც თავს იჩენდა გარკვეული მეტოქეობა და დაპირისპირება საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის²⁶, რაც არის მხოლოდ ცალკეული პრეცედენტები, რომელთა განზოგადებაც დაუშვებელია.

25. უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, ქადაგება სვეტიცხოვლობას, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი, 14 ოქტომბერი, 2009 წელი <https://www.orthodoxy.ge/patriarqi/qadagebebi/2009/14-10-2009.htm> (ბოლო ნახვა – 27.04.22).

26. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მეცხრე-მეათე საუკუნეები, როდესაც ზოგიერთი საეკლესიო პირი მიიჩნევს, რომ სასულიერო ხელისუფლება საეროზე უპირატესია, მიუხედავად იმისა, რომ სამეფო ხელისუფლება – ბაგრატიონთა დინასტია მირონცხებულისა. გიორგი მერჩულის განმარტებით, მეფეები განაგებენ მხოლოდ ამ ქვეყანას, ქრისტე კი მთელი ხილული და უხილავი სამყაროს მეუფეა. აღნიშნუ-



სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ჰარმონიული ურთიერთობა მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ისტორიის ყველა ეტაპზე. მართალია, ამ ურთიერთობას რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათი ჰქონდა მეოცე საუკუნის 20-70-იან წლებში, მაგრამ, როდესაც ქართველი ერისა და სახელმწიფოს არსებობა საფრთხის წინაშე იდგა, ეკლესიისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის უკიდურესად მიუღებელია ათეისტური იდეოლოგია, თავის არსებით მოწოდებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი იყო ქვეყნის დაცვის საქმე. აღნიშნული დამოკიდებულება ნათლად გამოვლინდა ომის დაწყებისას, 1941 წლის 22 ივნისს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატეს მიერ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში²⁷.

საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეკლესიური თავისუფლებისათვის ზრუნვის მნიშვნელოვანი მაგალითია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი ამბროსის, მემორანდუმში გენუის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებისადმი (1922 წლის აპრილი). ამ გზავნილით პატრიარქი სთხოვდა მათ, დახმარება გაეწიათ საქართველოსათვის და არ მიეტოვებინათ იგი ათეისტური რეჟიმის პირისპირ მარტო²⁸.

1990-იან წლებში, როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა და საქართველო სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საგანგებო წერილით მიმართა იმდროინდელი პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლებს: „საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ თავის მწვერვალს მიაღწია, ქართველი ქართველს დაუპირისპირდა, მოსალოდნელია ძმათა შორის სისხლისღვრა. არ უნდა მოხდეს ეს სამარცხვინო ფაქტი. ნუ ჩავიდნენ საშინელ ცოდვას ღვთისა და ერის წინაშე. მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ დაიწყოს დიალოგი თქვენ შორის და მშვიდობიან ვითარებაში გადაწყდეს ყველა სადავო საკითხი. თუ იქნება თქვენი სურვილი, მზად ვარ, მონაწილეობა მივიღო ამ დიალოგში“²⁹.

ლი დამოკიდებულება ნათლად ვლინდება საბა იშხნელის სიტყვებში ბაგრატ კურაპალატისადმი (იხ. გიორგი მერჩულე, შრომაა და მოღვაწეაა ღირსად ცხორებისაა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, ჩვენი საუნჯე, ქართული მწერლობა ოც ტომად, ტომი I, 1960, 164).

საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის დაპირისპირების ამგვარ კერძო გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ მეთორმეტე საუკუნის 70-იან წლებში არსებული ვითარებაც, როდესაც კათალიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ გულაბერისძე გადადგა და მის ნაცვლად პატრიარქი გახდა მიქაელ მირიანისძე, რომელმაც მალე ჭყონდიდელ-მაწვეერელობა და მწიგნობართუხუცესობა მიიტაცა და დაუპირისპირდა თამარ მეფეს. საისტორიო წყაროების მიხედვით, ცნობილია, რომ თამარ მეფის ინიციატივით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რათა საპატრიარქო ტახტიდან გადაეყენებინათ მიქაელი, თუმცა ეს იმ დროს ვერ მოხერხდა (იხ. ქართლის ცხოვრება. 2008. 488. შდრ. როინ მეტრეველი, თამარ მეფე. თბილისი, 1991, 121).

27. განცხადების სრული ტექსტი იხ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კ. ცინცაძის ფ. №77. 13.

28. მემორანდუმის ტექსტი იხ. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ამბროსი ხელაიას საქმე, №1549.

29. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საბ. №6870.



1993 წელს, როდესაც აფხაზეთის ტერიტორიაზე გამწვავდა დაპირისპირება, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საგანგებო წერილებით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს, კონსტანტინოპოლის პატრიარქს, რომის პაპს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს, რომლებსაც მოუწოდა ობიექტურად და სამართლიანად შეეფასებინათ აფხაზეთში განვითარებული მოვლენები და დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები სისხლისღვრის შესაწყვეტად³⁰.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II-ის უდიდესი დამსახურება იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის საყოველთაოდ აღიარება (4.03.1990)³¹. მისი აღსაყდრების დღიდან იწყება ეკლესიის აღორძინება, ისევე როგორც საღვთისმეტყველო განათლებისა და მეცნიერების განვითარება, ქართველი ერის სულიერი განმტკიცება. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელნი თავიანთ მოღვაწეობაში ყოველთვის ხელმძღვანელობდნენ ორი უმთავრესი პრინციპით: 1. წმინდა მართლმადიდებელი სარწმუნოების უბიწოდ დაცვა და ქართველი ერისადმი დაუცხრომელი მსახურება; 2. ქართულ სახელმწიფოებრიობაზე ზრუნვა. სწორედ ეს დამოკიდებულება ვლინდება ჩვენს ეპოქაშიც, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის მოღვაწეობაში, რომლის დამსახურებაც ქვეყნისა და ერის წინაშე მრავალი კუთხით არის განსაკუთრებული. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მისი პატრიარქობის უამს საქართველოს წმინდა ეკლესიამ კვლავ მოიპოვა განსაკუთრებული ავტორიტეტი მსოფლიოს ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის. ეკლესიის როლი დღესაც უმნიშვნელოვანესია ქართველი ერის ცხოვრებაში და, მიუხედავად იმისა, რომ ანტიეკლესიური ძალები უპირისპირდებიან და მის დისკრედიტაციას ცდილობენ, იგი, თავისი საღმრთო მოწოდების შესაბამისად, უშურველად მოღვაწეობს ქართველი ერის სულიერი განწმენდის, განათლების, გამთლიანების, აღორძინებისა და ცხონებისათვის. ეკლესიის მოწინააღმდეგე ძალები ვერ შეაფერხებენ იმ ღვაწლს, რომელსაც იგი აღასრულებს თავისი სამწყსოსთვის.

30. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საბ. 7191.

31 „საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი“, რომლის თანახმადაც, მსოფლიო საპატრიარქო აღიარა საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის უძველესი ავტოკეფალია და დამოუკიდებელი სტრუქტურა. კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის, ყოველადუწმინდესი დიმიტრიოსის მიერ ხელმოწერილ ტომოსში საქართველოს ეკლესია აღიარებულია საპატრიარქო ღირსების მქონედ. პატრიარქის ტიტულია: „მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსა“.



დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის მოდელი (რაც გულისხმობს ჰარმონიურ ურთიერთობას ამ ორ სუბიექტს შორის) საქართველოს მაგალითზე უადრესად მნიშვნელოვანია, რამდენადაც საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი მსოფლიოში არსებულ ცეზაროპაპიზმის ან პაპოცეზარიზმის კლასიკურ მოდელებს. უტყუარი ფაქტია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი სრულიად განსაკუთრებულია ჩვენი ერის ცხოვრებაში, რომელიც, ერთი მხრივ, ყოველთვის უბიწოდ იცავდა და იცავს საეკლესიო სწავლებას – წმინდა მართლმადიდებლურ მოძღვრებას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, ხოლო, მეორე მხრივ, ეკლესია ყოველთვის უდიდეს თანადგომას იჩენდა ქართული სახელმწიფოს მიმართ. 2002 წლის 14 ოქტომბერს ეკლესიისა და ერის ცხოვრებაში უადრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კონსტიტუციური შეთანხმების გაფორმება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რაც სამართლებრივი დოკუმენტია და არეგულირებს ყველა მნიშვნელოვან საკითხს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაში.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. გიორგი მერჩულე, შრომაი და მოღუაწეობა ღირსად ცხორებისაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, ჩვენი საუნჯე, ქართული მწერლობა ოც ტომად, ტომი I. 1960.
2. დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ. თბილისი. 1976.
3. თალაღ ასადი, რელიგია, ერი-სახელმწიფო, სეკულარიზმი, ღირს თუ არა სეკულარიზმის კონცეფციის შენარჩუნება? თარგმნეს თორნიკე ჭუმბურიძემ და გიორგი ვაჩნაძემ. თბილისი. 2019.
4. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III. თბილისი. 1982.
5. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კ. ცინცაძის ფ. №77. 13.
6. მიხეილ რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462-1810). თბილისი. 1990.
7. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბილისი. 1936.
8. როინ მეტრეველი, თამარ მეფე. თბილისი. 1991.
9. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ამბროსი ხელაიას საქმე, №1549.
10. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საბ. №6870.
11. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საბ. №7191.
12. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24.08.1995
13. საერთაშორისო ფორუმი, „გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი“. თბილისი. 2004.
14. სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო რეფორმისათვის სოლომონ I-ის დროს. თბილისი. 1914.

15. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III. თბილისი. 1970.
16. ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი აკად. როინ მეტრეველი. თბილისი. 2008.
17. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I. თბილისი. 1963.
18. ჯონი ხეცურიანი, სახელმწიფო და ეკლესია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები. თბილისი. 2013.
19. Jeffrey Haynes, „An Introduction to International Relations and Religion“. London. 2013.
20. Legal Expertise of the Draft Constitutional Agreement between the State of Georgia and the Autonomous Apostolic Orthodox Church of Georgia, R. Lawson & R. Balodis, HRCAD (2001)3, 28 May 2001.

ინტერნეტრესურსები

22. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სსმ №116, 27.11.2002. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626?publication=0> (ბოლო ნახვა – 17.05.2021).
23. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, ქადაგება სვეტიცხოვლობას, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი, 14 ოქტომბერი, 2009 წ. <https://www.orthodoxy.ge/patriarqi/qadagebebi/2009/14-10-2009.htm> (ბოლო ნახვა – 27.04.22).